განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოციოლოგია, მაგისტრატურა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18.11.2021

დასკვნა
წარდგენის თარიღი
20.12.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სოციოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სოციოლოგია და კულტურის კვლევები 0314
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	**120**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 30.09.2011, გადაწყვეტილება N89

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩარკვიანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კესო ესებუა, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ჭირაქაძე, კავკასიის უნივერსიტეტი, მაგისტრატურის სტუდენტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2021 წელს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კი პროგრამა შესაძლებელია განახლდეს ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის დაწყების წინ. პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა აგებულია სავალდებულო, სავალდებულო/არჩევითი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან, ასევე, მოიცავს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც პროგრამის სავალდებულო კომპონენტია. პროგრამაში სასწავლო/კვლევითი კომპონენტები შემოთავაზებულია ცოდნის აკუმულაციის პრინციპის მიხედვით. კვლევითი უნარები ვითარდება თანმიმდევრულად, რაც სავსებით შეესაბამება სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პანდემიიდან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება შედგა დისტანციური ფორმატით, ელექტრონული პლატფორმის (Zoom) გამოყენებით 18 ნოემბერს. სააკრედიტაციო ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე დავალებები. დაიგეგმა დისტანციური წინამოსამზადებელი შეხვედრა. წინამოსამზადებელ შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაცვალეს წინასწარი მიგნებები წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, შეაჯერეს პრობლემური საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. დისტანციური შეხვედრა შედგა დღის წესრიგით დაცვით. შეხვედრები მიმდინარეობდა და მოიცავდა პროგრამის შემუშავებაში ჩართული სხვადასხვა მონაწილეების ინტერვიუირებას. უნივერსიტეტის მხრიდან კომისიის მუშაობისათვის სათანადო პირობები იყო უზრუნველყოფილი. აკრედიტაციის კომისია მუშაობდა კოლეგიალურ, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ და კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრის მონაწილეები გულწრფელად გამოთქვამდნენ და უზიარებდნენ კომისიის წევრებს

მოსაზრებებს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ეძლეოდათ მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

დაწესებულის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შეჯამება

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის საფუძველზე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და გარკვეული ცვლილებების ანგარიში იმ რეკომენდაციების ფარგლებში, რომელთაც ეთანხმება. რეკომენდაციების ნაწილზე, რომელთაც დაწესებულება არ ეთანხმება, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

რეკომენდაცია 2. (სტანდარტი 2.3) რეკომენდებულია, აკადემიური წერის სწავლის შედეგები მიესადაგოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს.

დაწესებულების პასუხი: „გაცნობებთ, რომ სამუშაო ჯგუფმა გადაამოწმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილ სააკრედიტაციო მასალებში ჩადებული აკადემიური წერის კურსის სილაბუსი. მასში არ ფიქსირდება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შეუსაბამობა. კერძოდ, აკადემიური წერის კურსში სწავლის შედეგები და კომპეტენციები დაყოფილია დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებად და თითოეული მოიცავს „ცოდნა-გაცნობიერების“, „უნარისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ კომპონენტებს. ამდენად, პროგრამის სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ გამოთქმული რეკომენდაცია შეიცავს ტექნიკურ უზუსტობას.“

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული მიგნება ეფუძნებოდა იმას, რომ აკადემიური წერის სილაბუსის მე-5 გვერდზე აშკარად არის სწავლის შედეგების ექვსკომპონენტიანი სქემა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ახალი წესის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა ამ რეკომენდაციას და ჩათვალა ის უნივერსიტეტის მიერ დაშვებულ ტექნიკურ უზუსტობად, რომელიც ადვილად აღმოფხვრადია. მის გასწორებას არც დიდი მუშაობა სჭირდება. ამასთან, უნივერსიტეტი თავისსავე პასუხში გარკვეულწილად ადასტურებს იმას, რომ სწავლის შედეგები უნდა მოიცავდეს სამ კომპონენტს („ცოდნა-გაცნობიერება“, უნარები“ და „ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა“). („დეტალურად იხილეთ 2.3 კომპონენტი“). ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ეს რეკომენდაცია რჩევათა ჩამონათვალში გადაგვეტანა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა რეალისტურია და აკმაყოფილებს სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. პროგრამას ხელმძღვანელობს კვალიფიციური პროფესორი, რომელსაც მდიდარი გამოცდილება აქვს და დაკავებულია აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს გამოცდილი და კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

ხუთი სტანდარტიდან 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები), ხოლო ერთ-ერთი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა).

საბოლოო ჯამში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა არსებითად შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან.

რეკომენდაციები:

ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადახედა 2.3 კომპონენტში აკადემიური წერის სილაბუსში სწავლების შედეგებთან დაკავშირებულ მიგნებას და შეაფასა ის მარტივად გამოსწორებად ტექნიკურ უზუსტობად, რომლის აღმოფხვრა, თავისი არსით, არ მოითხოვს განსაკუთრებულ დროსა და მუშაობას. ამიტომ ამ რეკომენდაციის სტატუსი შეიცვალა და მე-2 სტანდარტის 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაცია გადატანილია რჩევის კატეგორიაში, ხოლო სხვა რეკომენდაციები რჩება უცვლელი სახით.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.3. სასწავლო კურსი

- რეკომენდებულია, კვლევის მეთოდებისა და კვლევითი პროექტების სილაბუსებში აისახოს ყველა ის მეთოდი თუ ტექნიკა, რომელიც ისწავლება კურსების ფარგლები და მოგვიანებით, გამოიყენება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილი იყოს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომით. კერძოდ, შესაძლებელია მეტი სიცხადისთვის ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა), ასევე, სილაბუსით ნათლად ჩანდეს თითოეული აქტივობა კვირების მიხედვით. აქვე, მიზანშეწონილია, სილაბუსებში აისახოს სალექციო თემები სავალდებულო ლიტერატურის გვერდების რაოდენობის მითითებით.

2.6. სტუდენტების შეფასება

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში შეფასების სისტემა, ასევე, ნაშრომის წარდგენა-დაცვის საკითხები დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- რეკომენდებულია, სილაბუსებში საკვანძო საკითხების შესახებ მეტი სიცხადე იყოს შეტანილი და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ასეთი სასწავლო კურსების პრაქტიკაში სათანადო შესრულებაზე მონიტორინგი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- სასურველია, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზეპირი ფორმატის დახვეწის თვალსაზრისით გამოთქმული მზაობის იმპლემენტაცია და აპლიკანტთა წინარე ცოდნის შესამოწმებლად შესაბამისი საკითხებისა და ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე აპლიკანტთა დროული ინფორმირებისთვის.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- სასურველია, ყველა კურსისთვის სწავლების წინაპირობების მკაფიოდ და შესაბამისად განსაზღვრა.
- სასურველია, გადაიხედოს სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსების ჩამონათვალი და სავალდებულო-არჩევით საგანთა რიგში იყოს წარმოდგენილი კურსები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა მონაცემთა წყაროები („ტრადიციული და ალტერნატიული მონაცემთა წყაროები მოსახლეობის განვითარების შესწავლისათვის“) თუ სტრატიფიკაცია („სოციალური სტრატიფიკაცია“).
- სასურველია, არჩევითი საგნების ჩამონათვალში სტუდენტებისთვის, გარდა „პოლიტიკური ეკონომიკისა“, ასევე შეთავაზებული იყოს ეკონომიკაზე ფოკუსირებული სხვა კურსები.

2.3.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

- სასურველია, აკადემიური წერის სწავლის შედეგები მიესადაგოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს.
- სასურველია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა შეივსოს უახლესი და სფეროში აღიარებული ნაშრომებით.
- სასურველია მეტი დარგობრივი სოციოლოგიის (კულტურა, ეკონომიკა) კურსის შეთავაზება სტუდენტებისთვის.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია უფრო ნათლად და მკვეთრად ასახავდეს სამაგისტრო საფეხურისთვის შესატყვის მიზანს.

2.5.სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა).

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი

- სასურველია, შრომითი ხელშეკრულებებში არსებული უზუსტობები გასწორდეს, კერძოდ, სხვა უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის უფლება არ შეიზღუდოს, თუ ის აფილირებას არ მოიაზრებს, რადგან აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა შეიძლება ორ უნივერსიტეტშიც, კონფიდენციალობის დაცვა კი შეეხოს ხელშეკრულების ორივე მხარეს.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სამეცნიერო პროექტების შიდა დაფინანსების მექანიზმების პროცედურული ნაწილი.

4.3 მატერიალური რესურსი

- კარგი იქნება, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტისთვის სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურით გათვალისწინებული ნაშრომების ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობა, მით უფრო, პანდემიის პირობებში.

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.2 გარე ხარისხის შეფასება

- კარგი იქნება, გარე ექსპერტის რეკომენდაციები უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისთვის;
- სასურველია, უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის შემუშავებაში.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

- კარგი იქნება, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულმა ელექტრონული სწავლების კონცეფციამ და ადმინისტრირების წესმა ასახოს სასწავლო პროცესის თითოეული კომპონენტი (სრული ციკლი), პანდემიის ფარგლებში არსებული გამოწვევების სათანადოდ მართვისთვის ჩამოაყალიბოს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული რეკომენდაციები.
- უნივერსიტეტმა მონიტორინგი გაუწიოს კონკრეტულად მაგისტრანტებისთვის დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმების (სტუდენტთა რაოდენობისა და სტაჟირების ვადის მითითებით) სათანადოდ ჩამოყალიბებასა და პრაქტიკაში განხორციელებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - მისასალმებელია საბიბლიოთეკო საქმიანობისას გამარტივებული და ბიუროკრატიული მექანიზმებისგან თავისუფალი წარმოება.
  - მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებზე წვდომა.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სოციოლოგების მომზადება - ფართო თეორიული ცოდნის, დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების უნარ-ჩვევებითა და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით, რაც თავისთავად სოციოლოგიის დარგის განვითარების წინაპირობაა. სავალდებულო კურსების მოდული წარმოდგენილია 5 სხვადასხვა კვლევითი მიმართულების საგნით, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდების ჯგუფიდან. კვლევის მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების მიმართულებას ეთმობა სათანადო ყურადღება. კურსები აქცენტირებულია/ორიენტირებულია პრაქტიკული კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სავალდებულო კურსებს შორის სოციოლოგიის 2 თეორიული კურსია წარმოდგენილი, რომლებიც მოდერნული და პოსტმოდერნული კონცეფციების ფართო სპექტრს მოიცავს. სავალდებულო საგნებს შორის აკადემიური წერის კურსია მოცემული, რაც აკადემიური წერის უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელია. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პლაგიატის პროგრამის დანერგვა და კურსების ფარგლებში მისი აქტიური გამოყენება. პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებში თანაბრად არის კონცენტრირებული თეორიული და პრაქტიკული კვლევითი კომპონენტები. თეორიული და პრაქტიკული კურსების პროპორციული გადანაწილება იძლევა ორივე მიმართულებით სიღრმისეული ცოდნის მიღების საშუალებას. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიასთან. პროგრამას წვლილი შეაქვს ცოდნის შექმნის, გადაცემის, მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარების პროცესში კვალიფიციური, ეთიკური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებით. საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისთვის ქმნის სოციალურ მეცნიერებებში შემდგომი განათლების საფუძველს და ამზადებს კადრებს კარიერისთვის ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც ატარებენ ან/და იყენებენ

სოციოლოგიურ კვლევებს.

შემუშავებული პროგრამა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებას ცდილობს. კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროგრამის ერთ-ერთი მიზანია. ამიტომ ადგილობრივი დამსაქმებლები ჩართული იყვნენ პროგრამაზე მუშაობის პროცესში, ჩატარდა დამსაქმებელთა კვლევა, შრომის ბაზრის კვლევა (რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომების გამოყენებით); სადაც გამოიკვეთა საჭიროებები და გამოწვევები. ასევე კურსდამთავრებულებისაგან მიღებულ იქნა უკუკავშირი მათ პროფესიულ განვითარებაზე პროგრამის გავლენის შესახებ. უნივერსიტეტი აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში; მოქმედი პროგრამების შემთხვევაში) – 76%, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო 5 წლის განმავლობაში) – 64%. მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, დასაქმებულთა მაჩვენებელი ნაკლებია კურსდამთავრებულთა მაჩვენებელზე (12%).

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოფა. უნივერსიტეტის მხრიდან, ძირითადად, საუკეთესო სასწავლო პრაქტიკების იდენტიფიცირებისთვის განხორციელდა საერთაშორისო ანალოგების შესწავლა. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო სოციოლოგიის სამაგისტრო საფეხურზე სწავლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა (მათ შორის გლაზგოს, ედინბურგისა და კარდიფის უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამები); მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობება. ილიაუნიში ამ პროცესს კურირებს საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო საქმიანობის შეფასებას უნივერსიტეტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების დოკუმენტში.

საერთაშორისო ინტერნაციონალიზაცია ბევრ ასპექტს მოიცავს, მათ შორის კვლევების ინტერნაციონალიზაცია, სასწავლო გრანტების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, საერთაშორისო პუბლიკაციებს. თვითშეფასების დოკუმენტი ყველა ამ კომპონენტს ასახავს, საერთო სურათის დანახვის შესაძლებლობას იძლევა და საჭიროებების გამოკვეთა/იდენტიფიცირებაც ხდება შესაძლებელი. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი მხარდაჭერის მექანიზმების მიზნობრივად განსაზღვრის საფუძველია.

ინტერვიუებში აღინიშნა პროგრამის შემუშავების პროცესის „გადემოკრატიულება“, რაც გულისხმობს ჩართული აქტორების რაოდენობის გაზრდას. გაიზარდა ცნობიერება აკადემიური პერსონალის მხრიდან პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ. პროფესორები აცნობიერებენ მათი ჩართულობის ღირებულებას პროგრამის როგორც დაგეგმვის, ასევ განვითარების და განხორციელების თითქმის ყველა ეტაპზე. ეს დასტურდება სამუშაო ჯგუფების მუშაობის პრაქტიკით რომელიც უნივერსიტეტში ბოლო წლებში დამკვიდრდა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესორების, პერსონალის თვითშეფასების სისტემა ითვალისწინებს გარკვეული ტიპის ქულების დაგროვების შესაძლებლობასაც ამ ტიპის საქმიანობაში ჩართულობისთვის, ეს არის ერთ-ერთი მოტივატორი პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართვის, რაც აისახება მათ 2 წლიან ანგარიშში. მოცემული პრაქტიკის დანერგვა თავისთავად მონაწილეობის კულტურის ტრანსფორმაციის წინაპირობაა, ამგვარი მზაობის არსებობა ფაკულტეტის

ადმინისტრაციას უადვილებს პროგრამაზე მუშაობის პროცესს.

პროგრამის მიზნების საჯაროობის და ხელმისაწვდომობის მიზნით, რეაკრედიტირებული პროგრამა განთავსებული იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდსა - www.iliauni.edu.ge და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემაზე „არგუსი.“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ-ის, ფაკულტეტის/სკოლის/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასების დოკუმენტი;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შესრულებული სამუშოს თვითშეფასების ფორმა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აღწერა და შეფასება

პროგრამის სწავლის შედეგები რელევანტურია პროგრამით გათვალისწინებული მიზნებთან კავშირში და ეყრდნობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის კვალიფიკაციათა აღწერას, სწავლის სფეროების კლასიფიკატორს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის მიზნის რუკაში ასახულია პროგრამის სწავლის შედეგები. სწავლის შედეგები და მიზანი თავსებადია და მკაფიოდ არის ფორმულირებული, რელისტურია და გაზომვადი. პროგრამის სწავლის შედეგებში აქცენტი კეთდება დარგის პრიორიტეტებზე, საჭირო ცოდნაზე, უნარ-ჩვევებსა და ავტონომიურობაზე. შესაბამისად პროგრამა ითვალისწინებს პასუხისმგებელი და დამოუკიდებელი ავტონომიური მკვლევრის ჩამოყალიბებას.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა (განახლება) ეტაპობრივად განხორციელდა და უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პოტენციური დამსაქმებლების, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობას. დამსაქმებლების მხრიდან გამოითქვა კონკრეტული სურვილები კურსდამთავრებულთა კომპეტენციის გასაუმჯობესებლად, რაც მათ შრომის ბაზარზე კონკრეტულად სოციოლოგის სპეციალობით დასაქმების შანსებს გაზრდის. დამსაქმებლები ხაზს უსვამენ - აკადემიური წერის კულტურის გაუმჯობესების, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზის და ანალიტიკური უნარების განვითარების აუცილებლობას. სოციოლოგიის სპეციალობით თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე ადეკვატური პასუხი ითვალისწინებს მონაცემთა ანალიზის პროგრამების უფრო ფართო სპექტრის ცოდნას. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მახასიათებლებია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებზე სისტემატური მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა სწავლის შედეგების მიღწევის შედეგების შეფასების მექანიზმები. შეფასება ორ მიმართულებას მოიცავს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს და ასევე პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს:

1. დადგინდეს, რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს;

2. დადგინდეს პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები პროგრამის განვითარებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის.

3. განხორციელდეს სტუდენტთა მონაცემების ანალიზი პროგრამის თითოეულ სწავლის

შედეგის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით; იმ შემთხვევაში, თუკი სამიზნე ნიშნული არ იქნება მიღწეული, განისაზღვროს გაუმჯობესების გზები.

აღნიშნული მექანიზმების გარდა, პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლისა და პერმანენტული გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა სწავლის ცალკეული შედეგის შესაფასებლად სხვადასხვა ინსტრუმენტები, მათ შორის მოქმედი სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აქტიური სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაცემები, რომელიც მოიცავდა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლებს.

პარალელურად უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასებისთვის სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვები, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების, კურსდამთავრებულების პერიოდული გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები დამსაქმებლებთან და ა.შ. მიღებული ინფორმაცია პერიოდულად მუშავდება შედეგები/დასკვნების იმპლემენტაციის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
აღწერა და შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ეფუძნება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგებს. ეს უკანასკნელი მოიცავს ზეპირ გამოცდას, სადაც ფასდება დარგობრივი ცოდნა, მოტივაცია, აკადემიური მიღწევები და კომუნიკაციის უნარი. ამასთან, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში ფასდება ინგლისური ენის კომპეტენცია. აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი სირთულის დარგობრივი ინგლისურენოვანი ტექსტის მცირე მონაკვეთის გააზრებასა და ქართულ ენაზე თარგმანს. ენობრივი კომპეტენციის მინიმალური დონე შეადგენს B2-ს. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, პროგრამის წინაპირობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი, სადაც, ფაკულტეტის სხვა პროგრამებთან ერთად, განთავსებულია მოკლე ინფორმაცია სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების თაობაზე. ვებგვერდზე ასევე მკაფიოდაა გაწერილი ზეპირი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და თითოეული კომპონენტისთვის მისანიჭებელ ქულათა რაოდენობა. თუმცა, არსადაა მითითება უშუალოდ იმ საკითხთა ჩამონათვალი თუ ინფორმაცია საკითხავ ლიტერატურაზე,

რომელიც შეიძლება გამოიყენოს აპლიკანტმა ზეპირი გამოცდისთვის მოსამზადებლად და რაზე დაყრდნობითაც უნდა გამოვლინდეს მისი დარგობრივი ცოდნა. საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით რთულია იმის დადგენა, როგორ ხდება იმის განსაზღვრა, საკმარისია თუ არა აპლიკანტის მომზადების დონე პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელი ცოდნის დასაძლევად, თუმცა, როგორც ინტერვიუებისას აღინიშნა, აპლიკანტებს წინასწარ ეგზავნებათ საკითხები შესაბამისი ლიტერატურის მითითებით, რომლის მომზადებაც იძლევა საკმარის ცოდნას სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. შესაბამის საკითხთა და რეკომენდებულ ლიტერატურათა ჩამონათვალი დამატებითი დოკუმენტის სახით გამოეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს. მისი გაცნობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადი წარმოდგენა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების არსისა და მისი ძირითადი კატეგორიების, ასევე კვლევის მეთოდების შესახებ აპლიკანტს შეიძლება შეექმნას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ცოდნა ისედაც აქვთ აპლიკანტებს, რომელთაც საბაკალავრო საფეხურზე სოციოლოგიის მიმართულებით ისწავლეს. ამასთან, სხვა სოციალური მეცნიერებების კურსდამთავრებულებთანაც, მონათესავეობის გამო, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით გამოწვევები ნაკლებად შეიძლება არსებობდეს, მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთაგან ერთ-ერთმა, რომელიც სამართლის მიმართულებით ფლობდა ბაკალავრის ხარისხს აღნიშნა, რომ მისთვის მარტივი არ იყო სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა სწორედ შესაბამისი წინარე ცოდნის არარსებობის გამო. საკითხი უფრო პრობლემურად გამოიყურება მონათესავე კავშირის არარსებობის შემთხვევაში, როდესაც სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას ის აპლიკანტები ფიქრობენ, რომელთაც ბაკალავრის ხარისხი შეიძლება ჰქონდეთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (მათემატიკა, ფიზიკა, კომპიუტერული და საინფორმაციო მეცნიერებები, ქიმია, ბიოლოგია და სხვა). აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზეპირი ფორმატის დახვეწა. აღნიშნული მზაობა თვითშეფასების ჯგუფმა დაადასტურა ვიზიტის დროსაც. შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის მზაობა და რელევანტური ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება მნიშვნელოვანია და დადებითად შეიძლება შეფასდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საუნივერსიტეტო გამოცდის პირობები და შეფასების სისტემა (მიღების დოკუმენტი); ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ვებგვერდი: https://iliauni.edu.ge/ge/study/masters/apply/arqivi/2020-2021/migeba-mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti ; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზეპირი ფორმატის დახვეწის თვალსაზრისით გამოთქმული მზაობის იმპლემენტაცია და აპლიკანტთა წინარე

ცოდნის შესამოწმდებლად შესაბამისი საკითხებისა და ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე აპლიკანტთა დროული ინფორმირებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
აღწერა და შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ამასთან, პროგრამის განთავსება ხდება ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში". მის შემუშავებაში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, რასაც ადასტურებს ინტერვიუები როგორც კურსდამთავრებულებთან, ასევე დამსაქმებლებთან. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც 4 სემესტრზეა განაწილებული. კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ასევე სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი სასწავლო კომპონენტები. სავალდებულო კურსების ფარგლებში ფოკუსი კეთდება კვლევის მეთოდებზე, მონაცემთა დამუშავებასა და კვლევითი პროექტის შემუშავებაზე; ასევე მოდერნულ და პოსტმოდერნულ სოციალურ თეორიებზე. ამასთან, სავალდებულო კურსად წარმოდგენილია აკადემიური წერის კურსი. როგორც პროექტზე მუშაობის, ასევე მონაცემთა დამუშავებისა და აკადემიური წერის კურსებზე კონცენტრაცია სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში არსებითია არა მხოლოდ პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, რაც თეორიებთან ერთად, კვლევის მეთოდებისა და ეთიკური პრინციპების სიღრმისეულ

ცოდნას გულისხმობს, არამედ დაინტერესებულ მხარეთა კვლევის შედეგების გათვალისწინებითაც. როგორც დამსაქმებელთა კვლევიდან იკვეთება, კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, მათ შორის, მონაცემთა დამუშავებისათვის ისეთი პროგრამების ცოდნა, როგორებიცაა Excel თუ SPSS-ი, მნიშვნელოვანია.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური წერის სილაბუსი სამაგისტრო საფეხურისთვის რელევანტურ საკითხებს ფარავს. კურსის ფარგლებში მაგისტრანტები ასრულებენ სწავლების ამ საფეხურისთვის შესაბამის დავალებებს რეცენზირების/ურთიერთშეფასების ჩათვლით, დასკვნითი შეფასება კი გულისხმობს შემაჯამებელი ნაშრომის (აკადემიური სტატია) მომზადებას ყველა სტუდენტისათვის. საგულისხმოა, რომ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებითაც დადასტურდა აკადემიური წერის კურსის მნიშვნელობა. ეს ნათელია იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში განსაზღვრულია 30 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

მართალია, კურსების ჩამონათვალი, ასევე მათი თანმიმდევრულობა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით პროგრამის დასრულება, რაც, თავის მხრივ, კვლევითი კომპონენტის შესრულებას გულისხმობს, პასუხობს სწავლების საფეხურს, თუმცა გარკვეული კომპონენტების დახვეწა პროგრამას უფრო მაღალ შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას მისცემდა. კერძოდ, სასურველი იქნებოდა კურსებისათვის, განსაკუთრებით, სავალდებულო კურსებისათვის წინაპირობების მკაფიოდ განსაზღვრა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა. მაგალითად, თუ ვნახავთ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კატალოგს *(სოციოლოგია MA - კატალოგი 6 ოქტომბერი),* იქ აღნიშნულია, რომ კურსი *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში* ისწავლება როგორც პირველ, ასევე მესამე სემესტრში. ბუნდოვანია, რა შემთხვევაში შეიძლება კურსი მესამე სემესტრშიც ისწავლებოდეს იმის გათვალისწინებით, რომ ის ამავე კატალოგის თანახმად, წარმოადგენს სამი კურსის *(კვლევითი პროექტი I, კვლევითი პროექტი II, გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა)* წინაპირობას. თავის მხრივ, გაუგებარია, როგორ ხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა იმ პირობებში, როდესაც კურსი *კვლევითი პროექტი I,* განსხვავებით დანარჩენი ორისგან, ისწავლება მხოლოდ მეორე სემესტრში. ამასთან, ეს ზოგადი კურსი მეთოდოლოგიასა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა კურსისთვის არსებითია. ასევე, კატალოგში კურსისთვის *თვისებრივი მონაცემების ანალიზი და მისი დამუშავების მეთოდები კომპიუტერული პროგრამა NVivo-ს გამოყენებით* წინაპირობად არ არის მითითებული *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში,* თუმცაღა, ამ კურსზე წინაპირობის დაშვებას ის ნამდვილად წარმოადგენს, რაც სილაბუსში ასახულია. იგივე შეიძლება ითქვას კურსების *მოდერნული სოციოლოგიური თეორიები* და *სოციალური თეორია მოდერნიდან პოსტმოდერნამდე* შესახებაც.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია როგორც სავალდებულო-არჩევითი (17 კურსი), ასევე არჩევითი (23 კურსი) კურსები. საგნები საკმაოდ ინტერდისციპლინარულია და მოიცავს სოციალური მეცნიერებების აქტუალურ მიმართულებებს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ნათელი კურსების სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი ხასიათი. მაგალითისთვის, საინტერესოა, რატომაა კურსი *სივრცე, მატერიალურობა და აფექტი* სავალდებულო-არჩევითი კურსი, მაშინ როდესაც *სოციალური სტრატიფიკაცია და განათლება* ან *ტრადიციული და ალტერნატიული მონაცემთა წყაროები მოსახლეობის განვითარების შესწავლისათვის* კურსები არჩევით სასწავლო კომპონენტშია წარმოდგენილი მაშინ, როდესაც ისინი ეხება სოციოლოგიისთვის ისეთ არსებით საკითხებს, როგორიც სოციალური უთანასწორობა თუ მონაცემთა წყაროებია. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსების მოდულებში საგნების საკმაოდ მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი, შეინიშნება რელიგიის მიმართულების საგნების შედარებით მაღალი

კონცენტრაცია (9 სხვადასხვა კურსი, მათ შორის 3 სავალდებულო არჩევითია და 6 არჩევითი). მიუხედავად რელიგიის სოციოლოგიის აქტულობისა შესაძლებლია დარგობრივი სოციოლოგიის სხვა მნიშვნელოვანი კურსების ინტეგრირებაც (სამართლის, დანაშაულის, ოჯახის, განათლების და ა.შ.), მათ შორის, ისეთი კურსებისა, რაზეც დამსაქმებელთა კვლევაშიც აღინიშნა (მაგ. ეკონომიკა). დარგობრივი და არადარგობირივი კურსებით პროგრამის გამდიდრება დარგის სხვადასხვა მიმართულების გაცნობის შესაძლებლობა და მრავალმხრივი განვითარების ხელშემწყობი იქნება, რაც სტუდენტებს სიღრმისეული და ჰოლისტური განათლების მიღების მეტ შესაძლებლობებს მისცემს. ეს ხელს შეუწყობს, მათ შორის, იმ შთაბეჭდილების გაქარწყლებას, რომ სავალდებულო-არჩევითი კურსები მეტადაა ფოკუსირებული, მაგალითად, რელიგიის საკითხებზე. ამასთან, კურსების მეტი მრავალფეროვნება თავისთავად ინტერესების დივერსიფიკაციის კარგი წინაპირობაა და ასევე, ეს იქნება ერთგვარი პასუხი კურსდამთავრებულთა კვლევის ერთ-ერთ მიგნებაზე. კერძოდ, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებში აღნიშნულია, რომ პროგრამის სუსტი მხარე, პრაქტიკულ კომპონენტთან ერთად ისიცაა, რომ საგნების არჩევისას ნაკლები მრავალფეროვნებაა, რა განცდასაც საფუძვლად სწორედ ის შეიძლება ჰქონდეს, რომ კურსების ჩამონათვალში არაერთი კურსი ეთმობა რელიგიას, ანთროპოლოგიას ან ევროკავშირსა და მათთან ასოცირებულ საკითხებს. ამგვარად, პროგრამის სავალდებულო-არჩევით კურსებში დარგისთვის მეტად მნიშვნელოვანი და პროგრამაში უკვე არსებული კურსების (*სოციალური სტრატიფიკაცია და განათლება* ან *ტრადიციული და ალტერნატიული მონაცემთა წყაროები მოსახლეობის განვითარების შესწავლისათვის)* არსებობა, ასევე, ეკონიმიკასთან დაკავშირებული კურსისა თუ კურსების არჩევითად შეთავაზება პროგრამას მეტად საინტერესოს გახდიდა. აქვე აღსანიშნავია, რომ კურიკულუმმა გარკვეული ცვლილებები განიცადა და როგორც თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, ეს ცვლილებები კურსდამთავრებულთა თუ დამსაქმებელთა კვლევას დაეფუძნა. კვლევების შედეგების გაცნობისა და განახლებული პროგრამის გაცნობის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა ცვლილება აუცილებლად კვლევას არ ეფუძნება (მაგალითად, პროგრამას დაემატა კურსი თვისებრივი მონაცემების ანალიზი და მისი დამუშავების მეთოდები კომპიუტერული პროგრამა NVivo-ს გამოყენებით სავალდებულო კურსების სიას, თუმცაღა, აღნიშნულზე მითითება კვლევის შედეგებში არ არის, განსახვავებით ეკონომიკაზე ფოკუსირებული კურსის დამატებისა). რაც შეეხება კურიკულუმში განხორციელებულ ცვლილებას, რომელიც კვლევითი პროექტების (I და II) კურსებს სავალდებულო სასწავლო კომპონენტში წარმოდგენას გულისხმობს, პასუხობს დამსაქმებელთა სურვილს, პროგრამა მეტად იყოს ფოკუსირებული პრაქტიკულ კომპონენტზე და ეს ცვლილება მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს. აქვე, ისიც ხაზგასასმელია, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ინგლისურ ენაზე გაიარონ რამდენიმე კურსი. შესაბამისი კურსები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო-არჩევით, ასევე არჩევით სასწავლო კომპონენტში და მსგავსი შესაძლებლობის არსებობა უდავოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ შეხვედრების ოქმები; ○ პროგრამის კოლეგიური შეფასების შედეგები; ○ დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი; https://iliauni.edu.ge/ge/
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ყველა კურსისთვის სწავლების წინაპირობების მკაფიოდ და შესაბამისად განსაზღვრა.
- სასურველია, გადაიხედოს სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი კურსების ჩამონათვალი და სავალდებულო-არჩევით საგანთა რიგში იყოს წარმოდგენილი კურსები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა მონაცემთა წყაროები („ტრადიციული და ალტერნატიული მონაცემთა წყაროები მოსახლეობის განვითარების შესწავლისათვის“) თუ სტრატიფიკაცია („სოციალური სტრატიფიკაცია“).
- სასურველია, არჩევითი საგნების ჩამონათვალში სტუდენტებისთვის, გარდა „პოლიტიკური ეკონომიკისა“, ასევე შეთავაზებული იყოს ეკონომიკაზე ფოკუსირებული სხვა კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილის სწავლის

შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურს. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია სწავლა-სწავლების მეთოდები. კომპეტენციების მიღწევა შესაძლებელია კურსებისთვის განსაზღვრული ლიტერატურით, სასწავლო რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში; ამასთან, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე. როგორც თვითშეფასების ანგარიშის, ასევე ინტერვიუების შედეგები მეტყველებს, მასალები ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით თუ შესაბამისი კურსის გვერდზე პლატფორმაზე: *https://www.elearning.iliauni.edu.ge/* .

ამასთანავე, სხვადასხვა კომპეტენციის მიღწევა შესაძლებელია დავალებებით, რომელთა შესრულებაც უწევთ სტუდენტებს კურსების ფარგლებში ინდივიდუალურად თუ ჯგუფთან ერთად.

კურსების ეფექტიანობის შეფასებისთვის უნივერსიტეტი და, მათ შორის, სამაგისტრო პროგრამაც, ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, რომელიც ითვალისწინებს კურსის სხვადასხვა ასპექტის (კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა, შეფასება) შეფასებას. მისი შედეგები ხელმისაწვდომია კურსის ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მიუხედავად ამ გამართულობისა, შეიძლება რამდენიმე საკითხზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, რიგ შემთხვევებში არცთუ ცხადია, როგორ არის შესაძლებელი გასვლა კონკრეტულ შედეგზე კვირების მიხედვით განსახილველი თემების კომპლექსურობის გათვალისწინებით. მაგალითად, კურსის - *კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში* ერთ-ერთი შედეგია *ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა კვლევის არსის, მიდგომების, დიზაინების, მეთოდებისა და უახლესი ტენდენციების შესახებ.* ამასთან, კურსის შინაარსის თანახმად, თვისებრივი კვლევის მეთოდების ისეთ მნიშვნელოვან ტექნიკებს, როგორებიცაა სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი ეთმობა მხოლოდ ერთი სალექციო თემისთვის განკუთვნილი დრო (კვირა 3), რიგ მნიშვნელოვან თემას კი (მაგ: დისკურსის ანალიზი, ვიზუალური ანალიზი, ქმედების კვლევა) კურსის ფარგლებში სალექციო კვირები არ ეთმობა. მათზე მითითება არ არის ასევე კურსის *კვლევითი პროექტი სოციოლოგიაში II (თვისებრივი)* სილაბუსში. ამდენად, ყველა კურსის შემთხვევაში თამამად დასკვნის გაკეთება, რომ ისინი სწავლების მეორე საფეხურისთვის არსებითი ცოდნის უფრო სიღრმისეულ დონეზე გადიან, რთულია. თუმცა, მეორე მხრივ, დამატებითი მასალების სახით წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების გაცნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ შორის, დისკურსისა თუ ანალიზის სხვა მეთოდებს მაგისტრანტები იცნობენ. ამგვარად, რჩება შთაბეჭდილება, რომ კურსების ფარგლებში (პირველ რიგში, კვლევითი პროექტების კურსები) კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დრო კონკრეტული საკითხების გაცნობა-შესწავლას ეთმობა, თუმცა ისინი სილაბუსში არ არის ასახული.

აქვე იკვეთება არაერთგვაროვანი მიდგომა სასწავლო კურსების სილაბუსების მიმართ. კერძოდ, სილაბუსების ნაწილში თემები კვირების მიხედვით წარმოდგენილია შესაბამის განსახილველ საკითხებთან და/ან ლიტერატურასთან ერთად, სილაბუსების ნაწილში კი, მხოლოდ განსახილველი თემებია მითითებული კვირების მიხედვით. ამასთან, მიდგომის არაერთგვაროვნება შეიძლება იყოს ერთი და იგივე სილაბუსშიც. ასე მაგალითად, სასწავლო კურსის *„გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა"* სილაბუსში მე-2 კვირის მასალას უწერია კონკრეტული ნაშრომიდან გვერდები, მაგრამ დანარჩენ კვირას არ აქვს

მითითებული. შესაბამისად, თუ ამის საჭიროება არსებობს მე-2 კვირის მასალისთვის, არ არის ცხადი, რატომ აღარ არის ეს გათვალისწინებული შემდეგ კვირებშიც. დაახლოებით ანალოგიური პრობლემა გვხვდება სასწავლო კურსის *„კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“* სილაბუსში, რომლითაც ძირითად ლიტერატურას არ აქვს მითითებული გვერდების რაოდენობა, ხოლო დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალიდან მხოლოდ ერთ საჟურნალო სტატიას უწერია გვერდები. აღსანიშნავია, რომ სილაბუსების ნაწილში არაერთი კვირა ეთმობა კონსულტაციას (მაგ: კვლევითი პროექტების კურსების) ისე, რომ არსადაა მითითება კონსულტაციის შესაძლო საკითხებზე. არის შემთხვევები, როცა სილაბუსში გვხვდება მხოლოდ ზოგადი სათაური და მეათე კვირის შემდეგ სემესტრის ბოლომდე კვირები ეთმობა ინდივიდუალურ პრეზენტაციებს. ასეთია მაგალითად, საგნის *„ევროკავშირისა და ევროკავშირის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა.“* სილაბუსებში საკონსულტაციო საათების ფარგლებში გათვალისწინებული საკვანძო საკითხების თაობაზე მეტი კონკრეტიკის შეტანა წარმოადგენს მაგისტრანტების მიერ ინფორმაციის მიღებისა და შემდეგ ამის შესატყვისად მოქმედების წინაპირობას.

ამასთან, მიზანშეწონილია, რამდენიმე სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი იყოს რეალისტური და/ან ყველგან მიეთითოს საკითხავი გვერდების რაოდენობა, რათა არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კურსის მანძილზე ლიტერატურათა დიდი ჩამონათვალის გაცნობა შეუძლებელია. ასე მაგალითად, კურსის *ძალაუფლების სოციოლოგიური თეორიები* სილაბუსით გათვალისწინებულია 40-მდე სავალდებულო ლიტერატურა. აქედან 20-ზე მეტს სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობა არ აქვს მითითებული. შესაბამისად, იგრძნობა, ერთი მხრივ, სავალდებულო ლიტერატურის რეალისტურ რაოდენობამდე შემცირებისა და ზოგიერთი ნაშრომის დამატებით ლიტერატურაში გადანაწილების, მეორე მხრივ, სავალდებულო ლიტერატურის გვერდების მოცულობის მითითების საჭიროება. დაახლოებით ანალოგიური სურათია საგნის „სივრცე, მატერიალურობა და აფექტი“ სილაბუსში. აქ ჩამოთვლილია 20-მდე ლიტერატურა, რომლის მხოლოდ ოთხ-ხუთ ნაშრომს უწერია გვერდები. ასევე, საგნის „ყოველდღიური ანთროპოლოგია“ სილაბუსი ითვალისწინებს 30-მდე ძირითად ლიტერატურას, რომელთაგან ნაწილს აქვს გვერდები მითითებული, ნაწილს - არა. შესაბამისად, აუცილებელი იყო სხვა ნაშრომების გვერდების მითითებაც. ამასთან, „სივრცე, მატერიალურობა და აფექტი“ საგნის სილაბუსის ბოლო გვერდი ეძღვნება განსახილველი თემების ჩამონათვალს, თუმცა არაა გათვალისწინებული აქტივობები კონკრეტული კვირების მიხედვით. ამისგან განსხვავებული სურათი გვხვდება აკადემიური წერის სასწავლო კურსის სილაბუსში. სახელდობრ, ის მთლიანობაში შეიცავს დეტალურ ინფორმაციას სალექციო თემის შესახებ, ასევე, ამ სილაბუსში გვხვდება სალექციო საკითხის ფარგლებში განსახილველი პრობლემებიც და მითითებულია აქტივობებიც კვირების მიხედვით. კარგი იქნება, აღნიშნული მიმართულებით სხვა სასწავლო კურსების სილაბუსებიც გადაიხედოს. ჩანს სასწავლო კურსების მიმართ მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობა (განსახილველი თემის, აქტივობების, გვერდების მოცულობისა და სხვა მითითება).

გარდა ამისა, კურსების სილაბუსების გაცნობის შედეგად ჩანს, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში კარგი იქნებოდა უახლესი და საყურადღებო ლიტერატურის ინტეგრირება. ასე მაგალითად:

- კურსის *იდენტობის თეორია* სავალდებულო ლიტერატურას შეიძლება დაემატოს შემდეგი უახლესი კვლევები: *მ. ჩიხრაძე, ქ. შავგულიძე, მ. შერგელაშვილი, მ. სახლთხუციშვილი, ლ. ქარაია, ინტეგრაცია და იდენტობა, თბ., 2019; მ. ჩხარტიშვილი, ქართული ეროვნული იდენტობა: კვლევისათვის რელევანტური თეორიული მიდგომის შერჩევის საკითხი, თბ., 2020 და სხვა.*

- სასწავლო კურსს *რელიგია, გენდერი და სექსუალობა* სილაბუსში წარმოდგენილია

თემები „საჯარო და კერძო სფეროები“, „გენდერი და სექსუალობა“, რომლებზეც აქვთ საყურადღებო ნაშრომები რ. სენეტს (ნაშრომი “The Fall of Public Man”), ჰ. არენდტს (“Vita activa oder vom tätigen Leben”), რ. ბენდრათს (ნაშრომი “Future of Privacy. Zukunft von Netz und Geselschaft”) და სხვებს, რომელთა ნაშრომები საინტერესო იქნებოდა კურსისთვის, ისევე როგორც შემდეგი კვლევები: *ე. აღდგომელაშვილი, წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე, საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ, თბ., 2016; თ. კიკნაძე, ნ. დონაძე, გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბ., 2006 და სხვა.*

ამასთან, დგინდება კვლევის მეთოდებისა და კვლევითი პროექტების კურსებისთვის სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში უახლესი ქართულენოვანი ნაშრომების ასახვის საჭიროება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად, შონია მ., სოციოლოგიური გამოკ-ვლევის მეთოდოლოგია, თბ., 2017; წულაძე ლ., სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბ., 2020; ფრანკფორტ-ნაჩმიასი ჩ., ნაჩმიასი დ., კვლევის მეთოდები სოციოლო-გიურ მეცნიერებებში, თბ., 2009 და სხვა. მათი გამოყენებაც წაადგებოდა სასწავლო კურსს.

ასევე, „დემოკრატია და დემოკრატიზაციის“ სასწავლო კურსის სილაბუსში კარგი იქნება დამატებით უახლესი ნაშრომების სავალდებულო ლიტერატურის ასახვა, მით უფრო, თანამედროვე ტენდენციების პირობებში. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ნაშრომები: შემდგ.: მაღლაკელიძე შ., მალაზონია დ., ტალიაშვილი თ. და სხვა, სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები, თბილისი, 2018; ბერლინი ი., კაგანი რ. და სხვ., პოლიტიკა და დემოკრატია: აუცილებელი საკითხავი = Politics and democracy: Essential reading: ესეების კრებული. წ. 2, მთარგმნელები: შარაშენიძე თ. და სხვ., თბ., 2017; არეშიძე მ., დავითაშვილი ზ., დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტის ტრანსფორმაცია საქართველოში: (სიტუაციური ანალიზი), 2011 წლის ივლისი-სექტემბერი, თბ., 2012; ტოკვილი დე ა., დემოკრატია ამერიკაში, ფრანგულიდან მთარგმნ. ლაბუჩიძე-ხოფერია დ., თბ., 2011; შემდგ. მაცაბერიძე დ., დემოკრატია: ძირითადი ცნებები, თბ., 2008.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ *აკადემიური წერა (სამაგისტრო საფეხური)* ჩანს გარკვეული უზუსტობები, რომლებიც ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს: საქმე ისაა, რომ სილაბუსით სწავლის შედეგებად გათვალისწინებულია (ა) ცოდნა-გაცნობიერება, (ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, (გ) დასკვნის გაკეთების უნარი, (დ) კომუნიკაციის უნარი, (ე) სწავლის უნარი, (ვ) ღირებულებები. არადა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო განსაზღვრავს სწავლის შედეგების განზოგადებულ აღმწერებს „ცოდნა-გაცნობიერების“, „უნარისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ კომპონენტებით. შესაბამისად, აკადემიური წერის ეს ნაწილი უნდა გასწორდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით.

ასევე, კარგი იქნება სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მიზნის დაზუსტება. კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, განუვითაროს სტუდენტს სოციოლოგიური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, ლოკალური და გლობალური სოციალური პრობლემის შესწავლის მიზნით, რელევანტური თეორიების, მიმდინარე სოციოლოგიური დებატებისა და კვლევის მეთოდების (მათ შორის, ინოვაციური) გამოყენებით, პროფესიული ეთიკის დაცვით. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტს უვითარდება კვლევითი პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი და უყალიბდება მეცნიერული ხედვა და დამოკიდებულება. ვფიქრობთ, სამაგისტრო ნაშრომის მიზანში უფრო ნათლად უნდა იკითხებოდეს სწავლის პროცესში შეძენილი *თეორიული და პრაქტიკული პრობლემების*

ღრმა და სისტემური ცოდნა. აქვე მიგვაჩნია, რომ, გარდა ინოვაციური მეთოდებისა, სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია ორიგინალური გზების ძიებაზე აქცენტირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://iliauni.edu.ge/ge/;
- კურსების შეფასების კითხვარი;
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი: https://library.iliauni.edu.ge/ ;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კვლევის მეთოდებისა და კვლევითი პროექტების სილაბუსებში აისახოს ყველა ის მეთოდი თუ ტექნიკა, რომელიც ისწავლება კურსების ფარგლები და მოგვიანებით, გამოიყენება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილი იყოს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი მიდგომით. კერძოდ, შესაძლებელია მეტი სიცხადისთვის ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, ხოლო დასათაურების ქვეშ - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა), ასევე, სილაბუსით ნათლად ჩანდეს თითოეული აქტივობა კვირების მიხედვით. აქვე, მიზანშეწონილია, სილაბუსებში აისახოს სალექციო თემები სავალდებული ლიტერატურის გვერდების რაოდენობის მითითებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, აკადემიური წერის სწავლის შედეგები მიესადაგოს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს.
- სასურველია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა შეივსოს უახლესი და სფეროში აღიარებული ნაშრომებით.
- სასურველია, მეტი დარგობრივი სოციოლოგიის (კულტურა, ეკონომიკა) კურსის შეთავაზება სტუდენტებისთვის.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია უფრო ნათლად და მკვეთრად ასახავდეს სამაგისტრო საფეხურისთვის შესატყვის მიზანს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას სხვადასხვა კურსის, როგორც სავალდებულო, ასევე სავალდებულო-არჩევითი კურსების ფარგლებში. პროგრამის სავალდებულო კურსების ბლოკში გათვალისწინებულია კვლევის მეთოდებისა და მონაცემების ანალიზთან დაკავშირებული კურსების გავლა, სადაც ფოკუსი კვლევის დაგეგმვაზე, განხორციელებასა და შედეგების წარდგენაზეა გაკეთებული. ამ კურსების ფარგლებში *(კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, გამოყენებითი სტატისტიკა, თვისებრივი მონაცემების ანალიზი და მისი დამუშავების მეთოდები კომპიუტერული პროგრამა NVivo -ს გამოყენებით, SPSS, კვლევითი პროექტი სოციოლოგიაში I (თვისებრივი), კვლევითი პროექტი სოციოლოგიაში II (რაოდენობრივი))* სტუდენტები მონაწილეობენ კვლევის დაგეგმვაში, მონაცემთა შეგროვებაში, დამუშავებაში, ანალიზში, ინტერპრეტაციასა და კვლევითი ანგარიშის მომზადებაში. ამასთან, სტუდენტები სავალდებულო კურსების ბლოკში გადიან აკადემიური წერის კურსს, რაც მიზნად ისახავს სტუდენტების მხარდაჭერას სამაგისტრო ნაშრომის წერისას და მათთვის უნარების გამომუშავებას, რაც აკადემიური კეთილისინდისიერების პრიცნიპების დაცვით ნაშრომის წერას უზრუნველყოფს. ამგვარად, კვლევითი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა სხვადასხვა კურსის ფარგლებში აქვთ სტუდენტებს, რაც საბოლოოდ დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაში და შესაბამისი მიგნებების, თეორულ ჩარჩოსთან ერთად, სამაგისტრო ნაშრომის სახით აისახება. ამასთან, უნივერსიტეტს, მათ შორის, პროგრამასაც აქვს შესაძლებლობა, სხვადასხვა კვლევით ცენტრსა და ინსტიტუტთან თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს მაგისტრანტთა კვლევითი და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარება, რაც კვლევებში სტუდენტების ჩართულობითაა შესაძლებელი. ამის მაგალითია 2019 წლიდან დღემდე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი კვლევების ცენტრის მიერ მოსახლეობის ღირებულების კვლევა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომელშიც 15 სტუდენტი იყო/არის ჩართული. გარდა ამისა, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბაზაზე ყოველწლიურად ტარდება ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მაგისტრანტებსა და მაგისტრებს კვლევების საჯაროდ წარდგენის შესაძლებლობა აქვთ. 2018-2020 წლებში კონფერენციებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობამ 21 შეადგინა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://iliauni.edu.ge;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამაში ძირითადად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სემინარი; ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა; დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი; პროექტი; შემთხვევის შესწავლა; ანალიზი და სინთეზი; და სხვა.

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში.

ამასთან, რამდენიმე სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით

იგრძნობა სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნებისა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების გამოყენების საჭიროება. მაგალითად, სასწავლო კურსის *„გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა“* გამოყენებულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია-სემინარი, დემონსტრირება, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული. კურსის *„სიკვდილის სოციოლოგია“* სწავლების მეთოდებია: ლექცია-სემინარი, წერითი, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, დისკუსია. სწავლების ანალოგიური მეთოდებია წარმოდგენილი საგნის *„სხვების უფლება - ქსენოფობია“* სილაბუსში. სასწავლო კურსის *„ყოველდღიურობის ანთროპოლოგია“* სილაბუსით გათვალისწინებულია სწავლების მეთოდები: ლექცია-სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, დემონსტრირება, წერითი, დისკუსია-დებატები. ასევე, სასწავლო დისციპლინის *„დემოკრატია და დემოკრატიზაცია“* სწავლების მეთოდად მითითებულია ლექცია, სემინარი, დემონტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი და დისკუსია-დებატები. ამასთან, ეს მეთოდები მოაზრებულია სასწავლო კურსის ფორმატში. დისციპლინის *„ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა“* სილაბუსში სწავლების მეთოდები ნათლად არაა ჩამოთვლილი, მაგრამ ირიბად იკითხება მხოლოდ ლექცია, მოხსენების პრეზენტაცია და დისკუსია. ამდენად, ზოგიერთ სასწავლო კურსში, სასურველია, აქცენტი გაკეთდეს სამაგისტრო საფეხურისთვის მნიშვნელოვან და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებზე (ანალიზი და სინთეზი, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, სოკრატესეული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა).

აქვე აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებას და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამასთან, პროგრამის მიერ ასევე გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. შეხვედრები შეიძლება ჩაინიშნოს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე როგორც „არგუსის", ასევე კორპორატიული ელფოსტის საშუალებით.

უნივერსიტეტის, მათ შორის, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები;
- სამაგისტრო ნაშრომები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კარგი იქნება, რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენთა შეფასების პროცესი და პროცედურები შეესაბამება როგორც შიდა (საუნივერსიტეტო), ასევე გარე რეგულაციებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ და ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი). **შეფასების წესი (100 ქულიანი):** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა და შესაბამისი კრიტერიუმები, რითაც უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების შესახებ. ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსით“ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აქვს გაეცნონ როგორც კურსის სილაბუსებს, ასევე შეფასების ძირითად კომპონენტებსა და კრიტერიუმებს.

შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნისა და უნარების გაზომვას და ამ გზით სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია და მისი ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს აკადემიური/ მოწვეული პერსონალისაგან თავიანთი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული სისტემა „არგუსი“, რომელიც საშუალებას იძლევა მუდმივ რეჟიმში დამყარდეს კომუნიკაცია სტუდენტსა და ლექტორს შორის, ასევე, ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, რომელთა დროც ყოველი სემესტრის დასაწყისში თანხმდება სტუდენტებთან. გარდა ამისა, თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, შუალედური შეფასებების შემდგომ, სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს შეფასების გასაჩივრების პროცედურებს და პირობებს და სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში უზრუნველყოფილია ერთზე მეტი შემფასებელი. სამაგისტრო ნაშრომები იტვირთება პროგრამაში „Moodle”(www.elearning.iliauni.edu.ge) და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა ,,Turnitin”-ით.

სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის

და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ უზრუნველყოფს ასევე თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ავტომატურ რეჟიმში და აღნიშნული შედეგები ლექტორისთვის ხელმისაწვდომია.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმეჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტებიგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ „საბოლოო ნაშრომის ატვირთვიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში ხელმძღვანელი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორს უგზავნის საბოლოო დასკვნას ნაშრომის დაცვისათვის მზადყოფნის შესახებ *(იხ. დანართი N6)* და შევსებულ „ხელმძღვანელის შეფასების ფორმას“ *(იხ. დანართი N8).* მე-8 დანართით დადგენილია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ნაშრომს აფასებს მაქსიმუმ 30 ქულით. ამავე დროს, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „რეცენზენტი წარადგენს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას *(იხ. დანართი N7)* მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორთან, ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში.“ ამ დანართიდან ირკვევა, რომ რეცენზენტი სამაგისტრო ნაშრომს აფასებს 40 ქულით. ამასთან, ცალკეა გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესის შეფასების რუბრიკის ფორმა, რომლითაც განსაზღვრულია დაცვაზე დასაწერი 30 ქულა. ამდენად, უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი, რომელიც ასახავს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების სისტემისა და სამეტაპიანი შეფასების კრიტერიუმებს:

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება რეცენზენტის მიერ მაქსიმუმ 40 ქულით (საკვლევი პრობლემა, კვლევის მიზანი, კითხვები, ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო - მაქს. 10 ქულა, კვლევის მეთოდოლოგია - მაქს. 8 ქულა, მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები - მაქსიმუმ 8 ქულა, დისკუსია-არგუმენტაცია - მაქსიმუმ 7 ქულა, ნაშრომის სტრუქტურა, აკადემიური სტილი, თანმიმდევრობა და ენა - მაქსიმუმ 7 ქულა);

2. ნაშრომს ხელმძღვანელი აფასებს მაქსიმუმ 30 ქულით (საკვლევი პრობლემა, კვლევის მიზანი, კითხვები, ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო - მაქს. 6 ქულა, კვლევის მეთოდოლოგია - მაქს. 5 ქულა, მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები - მაქსიმუმ 5 ქულა, დისკუსია-არგუმენტაცია - მაქსიმუმ 4 ქულა, ნაშრომის სტრუქტურა, აკადემიური სტილი, თანმიმდევრობა და ენა - მაქსიმუმ 3 ქულა, მუშაობის პროცესი - მაქსიმუმ 7 ქულა);

3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ფასდება 30 ქულით (საკვლევი პრობლემა, საკითხის წარმოჩენა, ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო - მაქს. 4 ქულა, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა - მაქსიმუმ 4 ქულა, კვლევის მეთოდოლოგია - მაქს. 6 ქულა, კვლევის შედეგები და მათი

ინტერპრეტაცია - მაქს. 9 ქულა, პრეზენტაციის ორგანიზაცია და დისკუსია - მაქსიმუმ 7 ქულა).

როგორც ჩანს, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის სამაგისტრო ნაშრომს ცალ-ცალკე აფასებენ, ხოლო მისი შეფასების კრიტერიუმები ორივე შემთხვევაში ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ ქულობრივ გადანაწილებაშია. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ეტაპზე, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, შეფასების ახალ კრიტერიუმებად შემოდის კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და პრეზენტაციის ორგანიზება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის შესაბამისად, დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა <u>შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).</u> ამდენად, დგინდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება.

ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „თუ სტუდენტი იღებს FX შეფასებას და მიიღებს 41-50 ქულამდე შეფასებას, დაცვის კომისია მიიჩნევს, რომ გადამუშავებული <u>ნაშრომის ხელახალი დაცვა შესაძლებელია იმავე სემესტრში,</u> მას განესაზღვრება ნაშრომის წარდგენის ვადა; ხოლო ამავე კომისიის გადაწყვეტილებით, თუკი სტუდენტს ესაჭიროება მეტი დრო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს და დაიცვას მომდევნო სემესტრის განმავლობაში.“ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო <u>პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეფასდა 41-დან 50-მდე ქულით (FX)</u>, მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული კვლევითი <u>პროექტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.</u> ამდენად, ჩანს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის ზემოთ მოცემული ჩანაწერის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- შეფასების სისტემა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge ;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ელექტრონული სწავლების სისტემა “e-learning” https://elearning.iliauni.edu.ge.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში შეფასების სისტემა, ასევე, ნაშრომის წარდგენა-დაცვის საკითხები დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტები იღებენ მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. სტუდენტებს აქვთ საშუალება გონივრულ ვადებში მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციის სხვადასხვა წყაროდან (ელფოსტა, „არგუსი“, e-learning, სოციალური ქსელები და ცხელი ხაზი). ასევე, სტუდენტებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება როგორც კონკრეტულ კურსებთან, ისე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მუშაობასთან დაკავშირებით.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარებულ კვლევებში, ასევე, აკადემიური პერსონალიც, საკითხის საფუძლიანად შესწავლის მიზნით, რთავს დაინტერესებულ სტუდენტებს სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში, რაც სტუდენტების მხრიდან საკმაოდ დადებითად არის შეფასებული.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად მიიღონ უკუკავშირი ლექტორებისგან და გამოიყენონ სტუდენტთა კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაში არსებული საგნები და სწავლების მეთოდები შეესაბამება მათ ინტერესებს, მოთხოვნებსა და მოლოდინებს.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშებსა და ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მიმართულების სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ამ მიმართულებით არსებული დამსაქმებლებისა და კონკრეტული ვაკანსიის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://iliauni.edu.ge/ge/ ;
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულბთან ინტერვიუს შედეგები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი შიდასაუნივერსიტეტო კვლევის ანგარიშები;
- მემორანდუმები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დამატებით მოწოდებული ინფორმაცია გაცვლით პროექტებში მონაწილე სტუდენტების შესახებ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს სტუდენტის საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის საკვლევი ინტერესები არ ემთხვევა ერთმაენთს, სტუდენტს განცხადების საფუძველზე შეუძლია არსებული ხელმძღვანელის აცილება და მისი გადარჩევა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გაწერილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძვანელის კრიტერიუმები, ხელმძღვანელისა და სტუდენტის ვალდებულებები.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განავითარა ისეთი პრაქტიკული კურსები, როგორიცაა კვლევითი *პროექტი სოციოლოგიაში I (რაოდენობრივი); კვლევითი პროექტი სოციოლოგიაში II (თვისებრივი); გამოყენებითი სოციალური სტატისტიკა.* სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ ეს კურსები საკმაოდ ეხმარება მათ კვლევითი პროექტის დაგეგმვასა და წარმართვაში. გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ სილაბუსებსა და მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის შექმნის კრიტერიუმებს, ასევე, უნივერსიტეტში არსებულ საბიბლიოთეკო და

ელექტრონულ რესურსებზე სრული წვდომის ფარგლებში სტუდენტებს უმეტესად შეუძლიათ მოიძიონ მათი კვლევისთვის საჭირო ლიტერატურა, გაეცნონ თანამედროვე კვლევებსა და ასევე, შეამოწმონ და დაიცვან საკუთარი ნაშრომი პლაგიატისგან. პრობლემის არსებობის შემთხვევაში (მაგ; კონკრეტული ლიტერატურის არარსებობა ბიბლიოთეკაში) ადმინისტრაცია გამოთქვამს მზაობას, რომ მყისვე მოახდინოს რეაგირება სტუდენტის საჭიროებებზე.

აკადემიურ პერსონალთან საუბრისას გაირკვა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს მაგისტრანტთან. კონსულტაციები ემყარება სტუდენტის კვლევითი საქმიანობის განხილვას, კვლევის დიზაინსა და თეზისზე მუშაობას, კვლევის პროცესში მიღებული შედეგების, მიგნებებისა თუ პრობლემების განხილვა-გადაწყვეტას, რაც უმეტესწილად ასახულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში. კვლევის ანგარიშებში აღნიშნული კვლევის მიზანი, თეორიული ჩარჩო, დიზაინი და შედეგები უმეტესად ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან. ასევე, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ხელმძღვანელთან კონსულტაციების დროს ისინი იღებდნენ რჩევებს კვლევის დაგეგმვისა და ნაშრომში მიგნებების სტრუქტურირებულად ასახვის შესახებ, ასევე, იღებდნენ ინდივიდუალურ უკუკავშირს კვლევის დიზაინისა თუ ანგარიშის შედგენის შესახებ. საერთო ჯამში, კურსდამთავრებულებმა ნაშრომის წერის პროცესი შეაფასეს როგორც დამოუკიდებელი და საკუთარ ინტერესებს მორგებული.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ხაზს უსვამენ ლექტორების მხრიდან მზაობას გაუზიარონ სტუდენტებს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტის შესახებ, დაეხმარონ მათ აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებაში, საჭიროებისამებრ, გაუწიონ კონსულტაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი გამოირჩევა კვალიფიკაციით, რეპუტაციით და აკადემიური კეთილსინდისიერებით. აფილირებული და მოწვეული პერსონალის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება დასტურდება მათი წარმატებებით პროფესიულ საქმიანობაში. ყოველივე უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეული პერსონალის უმრავლესობას გააჩნია საერთაშორისო გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის დარგის თანამედროვე მიღწევებისა და გამოწვევების გაცნობისათვის, ამავე დროს სფეროში თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატური უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის. პერსონალის კვალიფიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, პროექტებში მონაწილეობით და რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებით დასტურდება. სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელობა პროგრამის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა, ამიტომ პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები არიან სწორედ იმ სფეროს/დარგის პროფესიონალები, აქვთ კონკრეტული მიმართულებით სამეცნიერო პრაქტიკა (კვლევები, პუბლიკაციები) რომელ მიმართულებასაც სამაგისტრო თემატიკების შესაბამისად ხელმძღვანელობენ. ასევე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ რომ პროგრამით გათვალისწინებული მაგისტრანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა დაგეგმვის მექანიზმები და მეთოდოლოგია. სწორედ ამ წესის შესაბამისად განისაზღვრება სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროპორციები/თანაფარდობა. პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (31/29). სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის ბალანსია (6/25), ხოლო დენადობის მაჩვენებელი შეადგენს 5 მოწვეულ პერსონალს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტში შემუშავებული წესის თანახმად განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც ადგენს პერსონალის ვალდებულებებს კვლევით და სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით, დაკავებული პოზიციის შესაბამისად. ეს მექანიზმი იძლევა შესაძლებლობას სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირების და საჭიროებისამებრ განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვის. პროგრამის პერსონალი აქტიურად არის ჩართული არამხოლოდ პროგრამის განხორციელების პროცესში, არამედ მათი წვლილი მაღალია პროგრამის შემუშავების, დაგეგმვისა და კონცეფციის ფორმულირების ეტაპზე. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის გამორჩეული წარმომადგენელი, ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი და პროფესორი, რომლის მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება უდავოდ წაადგება პროგრამას. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი საერთაშორისო გამოცდილება და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო მიღწევები. ასევე, საყურადღებოა, რომ ის აქტიურად არის დაკავებული საზოგადოებრივი საქმიანობით.

პროგრამის ხელმძღვანელი ემზარ ჯგერენაია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ის დარგის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერია, შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებით. ბატონი ემზარ ჯგერენაიას რეპუტაცია და სამეცნიერო მიღწევები საყოველთაოდ აღიარებულია. ეს 2-3 წინადადება მეორდება. მაინც დავტოვოთ? პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განსაზღვრულია დოკუმენტით - „ხელმძღვანელის საქმიანობის წესი“. პროგრამის ხელმძღვანელის როლი პროგრამის შემუშავების პროცესში უმნიშვნელოვანესია. ის უწევს პროგრამის შემუშავების პროცესს კოორდინირებას და აქტიურად არის ჩართული მისი ჩამოყალიბების თითოეულ ეტაპზე. შესაბამისად დგება ანგარიშები, რომლებიც წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. პროგრამის შემუშავებისა და რეალიზების პროცესში აკადემიური პერსონალის გარდა აქტიურად არის ჩართული პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, შეფასებისა და განვითარების სამსახური, სასწავლო პროცესების კოორდინატორი. შრომითი ხელშეკრულებებით გასწორებას საჭიროებს ტექნიკური უზუსტობის შემცველი პუნქტი იმასთან დაკავშირებით, რომ „აკადემიური პერსონალს არ აქვს უფლება, აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული ან სხვა რაიმე სახის თანამდებობა დაიკავოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში“, ვინაიდან ამ ჩანაწერით შეიძლება აკადემიური პერსონალის გადინების საფრთხე შეიქმნას. კანონით დასაშვებია რამდენიმე უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება, შეზღუდვა კი ეხება იმას, რომ ლექტორი აფილირებული უნდა იყოს მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში. აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეზღუდვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიძლება სასწავლო (საათობრივი) დატვირთვის კრიტერიუმით. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ კონფიდენციალობის დაცვა ევალება დასაქმებულს (VIII თავი), არადა ეს როგორც დასაქმებულის, ისე დამსაქმებლის მოვალეობაა. სასურველია, აღნიშნული დეტალი ჩასწორდეს პროფესორ-მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები; ○ სერვისებით კმაყოფილების კვლევის ანგარიში (აკადემიური პერსონალი და სტუდენტები); ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებ მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი; ○ პროგრმის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ინტერვიუს შედეგები;

- უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 სექტემბრის N83 სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე დამტკიცებულ „აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესსა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობებში“ ცვლილებები და დამატებები „აკადემიურ„აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესსა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების“ შესახებ;
- გამოცხადებული კონკურსები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამაში დატვირთვა;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge/.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი.
- შრომითი ხელშეკრულებები/აფილირების წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შრომითი ხელშეკრულებებში არსებული უზუსტობები გასწორდეს, კერძოდ, სხვა უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის უფლება არ შეიზღუდოს, თუ ის აფილირებას არ მოიაზრებს, რადგან აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა შეიძლება ორ უნივერსიტეტშიც, კონფიდენციალობის დაცვა კი შეეხოს ხელშეკრულების ორივე მხარეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
აღწერა და შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის პროფესიული ზრდის და განვითარების მექანიზმები ჩამოყალიბებულია და მათ ეფექტურ რეალიზებას ექცევა სათანადო ყურადღება. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური. 2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. უნივერსიტეტში სწავლებაში ჩართული პერსონალის შეფასების და მათი კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე 2019-2021 წწ. განხორციელდა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი 17 სხვადასხვა მიმართულების ტრენინგი: • ონლაინ-შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები • ელექტრონული სწავლების პორტალის - Moodle გამოყენება (კურსის ორგანიზება, ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება, საგამოცდო ტესტების მომზადება) • აქტიური სწავლება შებრუნებულ საკლასო ოთახში • ელექტრონული სწავლების პორტალის გამოყენება, კურსების მომზადება, დავალებების ფორმატი, შეფასების განხორციელება, პლაგიატზე შემოწმება, ტესტის მომზადება (როგორც შუალედური ასევე, საბოლოო გამოცდისთვის), ზუმის გამოყენება ტრენინგი აკადემიური წერის ცენტრის მასწავლებლებისთვის • ვიდეო-ინსტრუქციები და ვებინარები, ტრენინგები სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესახე და სხვა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს აქვს გაცნობიერებული სწავლების პროცესის პარალელურად სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელოვნება. ეს ორი მდგენელი ერთობლიობაში იძლევა უნივერსიტეტის მისიის რეალიზების საფუძველს. უნივერსიტეტის და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია ორიენტირებულია მოიძიოს რესურსები პროგრამაში ჩართული და მოწვეული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის, ხელი შეუწყოს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, მათ საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას, უნივერსიტეტის სახელით შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების/მიღწევების დისემინაციას. რაც მნიშვნელოვანია მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში უკეთესი პოზიციონირებისათვის. 2019-2021 წწ. განხორციელდა უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობა Erasmus + მოკლევადიან გაცვლით პროგრამებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო

პროგრამა საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის მკვლევრებსა და პროფესორებს მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში და მოიპოვონ ინსტიტუციური გრანტი, რომელიც მათ დაეხმარებათ კვლევაში და საერთასორისო რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებაში.

სოციოლოგიის სამაგისტრო **პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში):** ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 40; საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 50; ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 33; საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები -21; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 34.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია წარმატებად მიიჩნევს 2017 წელს ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრობას, რომლის ფარგლებში ის ახალისებს კვალიფიციური კვლევების განხორციელებას და ინოვაციურ მიდგომებს. პროექტის ფარგლებში ხელი ეწყობა სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას, მათ ინტერნაციონალიზაციას და ა.შ.

უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს და მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. აკადემიური პერსონალი ადასტურებს არაერთი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის რეალიზებაში უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერას.

სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით. სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურმი შეიმუშავებს და გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე მიმართულ უნივერსიტეტის შიდა საქმიანობებს, მათ შორის შიდა დაფინანსების საუნივერსიტეტო მექანიზმებს. შემუშავებულია და გაწერილია სამეცნიერო პროექტების შიდა დაფინანსების მექანიზმები - „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი“. ცხადია, კარგია ამ წესის არსებობა, მაგრამ უშუალოდ „დაფინანსების წესი“ პროცედურული ნაწილი ზოგადი ხასიათისაა - კონკურსის გამოცხადების პერიოდულობა, განაცხადის ფორმა, წარსადგენი დოკუმენტაცია და ა.შ. შემოსული განაცხადების შეფასების კრიტერიუმები გაწერილია - ჩანს სტანდარტები, რა მოეთხოვება დაფინანსების მსურველს.

სამსახური მართავს და პერიოდულობით აახლებს შესაბამის პროექტების მონაცემთა ბაზას და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს. კოორდინაცია მნიშვნელოვანია რადგან უნივერსიტეტი ეფექტურად განხორციელდეს საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ და ა.შ.

ახალგაზრდა მკვლევრებისთვის წახალისების მიზნით უნივერსიტეტში დაწესებულია ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის.

აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით. განაცხადის წარდგენის წესები დეტალურად არის გაწერილი. მოწვეული ლექტორები უმეტესწილად შეირჩევა

კონკურსის გარეშე, სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი რაოდენობა 6, შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა კანდიდატის კომპენტენციას, გამოცდილება, პუბლიკაციები და ა.შ. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი CV-ებით. პროგრამის მიზნებისა და შედეგებთან მიმართებაში. კანდიდატებს წვლილი შექვთ სასწავლო პროცესის სრულყოფაში მათი კონკრეტული დარგობრივი კომპეტენციიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ უნივერსიტეტის განვითარების სამსახურის დებულება, იხილეთ ბმული: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46621.pdf ○ პროფესიულ განვათარებაზე ორიენტირებული აქტივობები; ○ კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია https://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1090.pdf ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესი; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოწვეული პერსონალის შეფასების წესი; ○ სერვისების კვლევის ანგარიში; ○ პროფესიული განვითარების აქტივობები ○ ნაშრომების განთავსების ადგილი და სხვა დეტალები მოცემული უნდა იყოს პერსონალის CV-ებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46426.pdf
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სამეცნიერო პროექტების შიდა დაფინანსების მექანიზმების პროცედურული ნაწილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დისტანციური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა,** რომ ეს რესურსები უზრუნველყოფს პროგრამაში ასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ამ მიზანს ემსახურება უნივერსიტეტში წარმოდგენილი კომპიუტერული ცენტრი, სალექციო აუდიტორიები, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, მონაცემთა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის პროგრამები. სალექციო აუდიტორიები განახლებულია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით. სალექციო აუდიტორიები და სამკითხველო დარბაზი, ასევე, კომპიუტერული ცენტრის ოთახები არის კეთილმოწყობილი.

ამასთან, უნივერსიტეტში **მოქმედებს სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“.** ასევე, გამოიყენება „Turnitin“-ისა და „Moodle“-ის პროგრამები. მათი დახმარებით სტუდენტებს მიუწვდებათ ხელი სიახლეებზე და შეუძლიათ უკუკავშირის წარმოება უნივერსიტეტთან. საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“ როგორც სტუდენტსა და პროგრამის განმახორციელებლებს, ისე უნივერსიტეტის სამსახურებს შორის კომუნიკაციას.

აქვე საყურადღებოა, რომ **პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად გათვალისწინებულია ილიას უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტებ**ისა და ცენტრების, ასევე, პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმების გამოყენება.

უნივერსიტეტის **ბიბლიოთეკაში დაცულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა. ინფორმაცია ახალი ლიტერატურის** შესახებ განთავსებულია ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში. ეს, თავის მხრივ, ეხმარება როგორც სტუდენტთა ინფორმირებულობას, ისე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საკითხავი მასალა ხელმისაწვდომია, ხოლო ელექტრონული ფორმით გაცნობა შესაძლებელია საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ბიბლიოთეკა არის

ინფორმაციული რესურსცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი მომსახურების შეთავაზებას. **უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს**:

- *სამკითხველო დარბაზებს;*
- *ჯგუფური მუშაობის სივრცეებს;*
- *მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს;*
- *კომპიუტერულ რესურსცენტრებს;*
- *წიგნსაცავებსა და სხვა.*

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში **მოქმედებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომლებიც საჯაროდაა განათავსებული და ხელმისაწვდომია** ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. ამასთან, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურება მოიცავს ვიზიტისა და წიგნის დაჯავშნას, ასლის გადაღება-დაბეჭდვას, ბიბლიოთეკაშორის სერვისს და სხვ. ამდენად, ბიბლიოთეკა ხელს უწყობს აკადემიური პროცესსა და მისი ხარისხის ამაღლებას. როგორც ინტერვიუსა და დისტანციური დათვალიერებისას გამოიკვეთა, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სახელმძღვანელოები და საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ელექტრონული ვერსიები. ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ატვირთულია ელექტრონული წიგნები, რომელთა გაცნობაც შეუძლია დაინტერესებულ პირს. ამასთან, ფაკულტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხდება სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ასევე, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საკითხავი მასალის „რიდერის" დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. დისტანციური ვიზიტისას გადამოწმდა ბაზებზე წვდომისა და ნაშრომების არსებობის საკითხი. შემთხვევითობის პრინციპით მოძიების მიზნით შეირჩა სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურიდან 5-6 ნაშრომი. ერთ-ერთი ნაშრომის ელექტრონული ვერსია გაიხსნა, მაგრამ მას არ ჰქონდა თავფურცელი, სარჩევი, რის გამოც ვერ ირკვეოდა ავტორის სახელი, ნაშრომის სახელწოდება და გამოცემის წელი, ეს კი ვერ იძლეოდა იდენტიფიცირების საშუალებას. ამასთან, 5-6 ნაშრომიდან 2-3 ელექტრონულ ფორმატში ვერ მოიძებნა. აღნიშნულთან დაკავშირებით ითქვა, რომ ასეთ შემთხვევებში დიდი ალბათობით ლექტორი უტვირთავს „არგუსში" ნაშრომს.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან **ირკვევა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის უზრუნველყოფილია საერთაშორისო** სამეცნიერო ბაზებზე წვდომა. ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები შესულია ისეთ აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებში, როგორიცაა:

- ✓ *Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science);*
- ✓ *Scopus;*
- ✓ *EBSCOHost;*
- ✓ *Britannica;*
- ✓ *Elsevier;*
- ✓ *JSTOR და სხვა.*

ბიბლიოთეკა მუდმივად სთავაზობს დაინტერესებულ მკითხველს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. როგორც დოკუმენტაციის შესწავლისა და

ინტერვიუს შედეგად დადგინდა, **ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის აღსანიშნავია ტრენინგები** სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა და საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენების შესახებ.

ამავე დროს, ინტერაქციის **მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ელექტრონული სისტემა „არგუსი“,** რომლის დახმარებითაც საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სიახლეების შესახებ. ასევე, არგუსის საშუალებით სტუდენტს შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიღება, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებსა და სამსახურების წარმომადგენლებთან კომუნიკაცია,

აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის **აკადემიური პერსონალი იყენებს პირადი სამუშაო სივრცეებს სტუდენტებთან როგორც ინდივიდუალური,** ისე ჯგუფური კონსულტაციებისთვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ხელის დამუშავებისთვის აუცილებელი საშუალებები. ჩანს, რომ **დაცულია კოვიდრეგულაციები. უნივერსიტეტში არის დამონტაჟებული ე.წ. „პანდუსები“ შეზღუდული** შესაძლებლობის ადამიანებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამით** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ (https://argus.ge/ge/);
- ელექტრონული სწავლების პორტალი: https://elearning.iliauni.edu.ge/ ;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზები: https://library.iliauni.edu.ge ;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და TURNITIN-ს შორის 2018 წლის 25 ივნისის N06/130 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტისთვის სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურით გათვალისწინებული ნაშრომების ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობა, მით უფრო, პანდემიის პირობებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელია საბიბლიოთეკო საქმიანობისას გამარტივებული და ბიუროკრატიული მექანიზმებისგან თავისუფალი წარმოება.
- მრავალფეროვან საერთაშორისო ბაზებზე წვდომა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს, ერთი მხრივ, ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტი, მეორე მხრივ, სამაგისტრო პროგრამის საბიუჯეტო** ფონდი.

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის **უზრუნველსაყოფად აუცილებელი ფინანსური რესურსები ინტეგრირებულია ერთიან საუნივერსიტეტო** ბიუჯეტში. ცალკეა წარმოდგენილი სოციოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც საკმაოდ დეტალიზებულია. ამ პროგრამის ბიუჯეტში შედის:

- *სწავლებასთან დაკავშირებულ სახელფასო ხარჯები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება);*

- *ლიტერატურისა და სხვა საბიბლიოთეკო რესურსის ხარჯები;*
- *პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები;*
- *ინფრასტრუქტურის განახლება-მოვლის ხარჯები;*
- *სასწავლო მასალებისა და სამეცნიერო მიზნით გაწევის ხარჯები;*
- *ექსპედიციების, საკონფერენციო ხარჯები;*
- *მიმდინარე საოფისე ხარჯები;*
- *აკრედიტაციისა და განვითარების ხარჯები.*

აქვე საგულისხმოა, რომ **საკონფერენციო ხარჯებისთვის განსაზღვრული ხარჯები, თითქოს არაა საკმარისი საკონფერენციო** თუ კვლევითი აქტივობებისთვის, მაგრამ ე.წ. „გაუთვალისწინებელი ხარჯებით“ შეიძლება გარკვეულწილად შეივსოს აუცილებელი ხარჯები. უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 23 ივნისის N877-02 ბძრანებით შევიდა ცვლილება 2021 წლის საუნივერსიტეტო ბიუჯეტში და გაიზარდა დაფინანსების მოცულობა „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში. ასევე, უნივერსიტეტის ნაერთ ბიუჯეტში ეტაპობრივად აისახება სამეცნიერო გრანტების ხარჯთაღრიცხვებში შესული ცვლილებები და მიმდინარე პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ემატება გრანტების ბიუჯეტები. ამ ეტაპზეც შემოსავლები გაიზარდა იმ საგრანტო დაფინანსების მოცულობით, რომელიც ბიუჯეტში არ იყო ასახული. კორექტირება შეეხო საგრანტო პროექტების, ასევე, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილს.

ამდენად, ვფიქრობთ, პროგრამის **ბიუჯეტის დოკუმენტით, ძირითადად, გათვალისწინებულია პროგრამის კონკრეტული საჭიროებები და ისინი ეკონომიკურად მიღწევადია.** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური მხარე სტაბილურად გამოიყურება, მდგრადია, ბიუჯეტის ფინანსური რესურსები, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 23 ივნისის N877-02 ბრძანება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტი (დანართები);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
აღწერა და შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შეფასებისას დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავების და რეალიზების პროცესში შიდა შეფასების სისტემა ჩამოყალიბებულია და საკმაოდ ეფექტური. რაც დასტურდება როგორც ინტერვიუს შედეგებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებით. პროგრამის რეალიზებაში ჩართულ სხვადასხვა აქტორებსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შორის ჩამოყალიბებულია აქტიური საქმიანი და პროფესიონალური საკომუნიკაციო არხები. ხარისხის სამსახური დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, როლებიც მუდმივად ახორციელებენ პროგრამის რეალიზების პროცესზე დაკვირვებას, აანალიზებენ არსებულ მდგომარეობას, აფასებენ მას და რეაგირებენ. მნიშვნელოვანია რომ ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია სხვადასხვა მიზნების რეალიზებისათვის ადეკვატური ინსტრუმენტები (კითხვარები). შესაბამისი პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. შემუშავებული ინსტრუმენტები (თვითშეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვები, პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის და დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი. და ა.შ.) იძლევა სასწავლო და სამეცნიერო პროცესების შესახებ მაქსიმალურად სრული და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სტუდენტების შეფასებები, კითხვარები და მათი ანალიზი. სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ჩართული არიან გამოკითხვებში, ასევე მონაწილეობას იღებდნენ თვითშეფასების პროცესში. სტუდენტებმა ისაუბრეს ლექციაზე რომელზეც მათ დაესწრო ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი.

აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ შიდა შეფასების, თვითშეფასების სისტემაში და ა.შ. ეცნობიან ხარისხის სამსახურის მიერ წარმოებულ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებს, იღებენ ამომწურავ ინფორმაციას სტუდენტთა მხრიდან მათი სასწავლო კურსების შეფასების შესახებ, ითვალისწინებენ მომდევნო სემესტრებში გამოთქმულ შენიშვნებს და ა.შ.

აკადემიური პერსონალის განცხადებით, ისინი მუდმივ კომუნიკაციაში არიან ხარისხის სამსახურთან სილაბუსების შემუშავების პროცესში, იღებს მათგან რჩევებსა და რეკომენდაციებს, სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
  ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- კვლევის ანგარიშები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების კვლევები);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი დებულების მიხედვით,** რომლითაც დადგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანები და ფუნქციები. გარდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია გარე მექანიზმების შემუშავებაში, რათა სწავლებისა და კვლევის ხარისხი გაუმჯობესოს.

ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტი **ითვალისწინებს სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიმართ 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა** მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს. ამის შედეგად პროგრამაში აისახა ცვლილებები:

- პროგრამას ჰყავს აკადემიური ხელმძღვანელი და ორი საკონტაქტო პირი, ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი და კოორდინატორი;
- პროგრამაში სწავლის შედეგები მრავალფეროვანი გახდა საერთაშორისო პრაქტიკისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით;
- შრომის ბაზრის შესწავლისა და სტატისტიკური სურათის მიღების მიზნით, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა დაგეგმა და ჩაატარა რაოდენობრივ-თვისებრივი კვლევა;
- შემუშავდა სასწავლო კურსების სილაბუსის ერთიანი ფორმა;
- სილაბუსებში გაიმიჯნა სწავლების მეთოდი და ფორმატი.

ამასთან, როგორც **ინტერვიუს დროს აღნიშნა, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისთვის** გამოყენებულ იქნა უცხოური ანალოგების, კერძოდ, ილინოისის, ცენტრალური ევროპის, ანტვერპენის უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, **საგანამანათებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით დაიგეგმა პოტენციური დამსაქმებლების აზრის კვლევა.** შეგროვდა თვისებრივი და რაოდნეობრივი მონაცემები. სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა სოციოლოგიისა და მის მომიჯნავე მიმართულებებით პოტენციური დამსაქმებლების სია. დამსაქმებლებს წინასწარ გადაეგზავნათ საგანმანათლებლო პროგრამა გასაცნობად. ასევე მომზადდა კითხვარი, რომელიც ელ. ფოსტის მეშვეობით დაეგზავნათ დამსაქმებლებს. ამასთან, პროგრამის

განახლებისა და დახვეწის პროცესისთვის უნივერსიტეტმა გამოიყენა კურსდამთავ-რებულების უკუკავშირი. გარე ექსპერტიზის **ფარგლებში გამოითქვა განმავითარებელი კომენტარები, რომლებიც უკავშირდებოდა მიღების წინაპირობას,** გამოცდის ფორმატს, ასევე, სავალდებულო-არჩევითსა და არჩევით სასწავლო კურსებს. სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზეპირი ფორმატის დახვეწა, რაც მოიაზრებს აპლიკანტების წინარე ცოდნის შემოწმებას წინასწარ განსაზღვრული საკითხების საფუძველზე. გარე შეფასების ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაიგეგმა საგანმანათლებლო პროგრამის კურსების კატალოგის გადახედვა და განახლდა კიდეც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ გარე ექსპერტის კოლეგიური შეფასება; ○ აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის ოქმი (გადაწყვეტილება N89); ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ○ დამსაქმებელთა კვლევის შედეგები; ○ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კარგი იქნება, გარე ექსპერტის რეკომენდაციები უფრო მეტად იყოს გათვალისწინებული პროგრამის განვითარებისთვის; ○ სასურველია, უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლების ჩართვა პროგრამის შემუშავებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აღწერა და შეფასება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია შიდა ხარისხის კონცეფცია. ის ითვალისწინებს შიდა და გარე აქტორების მონაწილეობას შეფასების პროცესში. შეფასების შედეგები გამოიყენება საქმიანობის გაუმჯობესებისა და უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისთვის.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარებულობის, მონაწილეობითობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და თავისუფლების, ასევე ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობითაც მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. ამასთან, შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით, რაც მნიშვნელოვანია პროცესებზე დაკვირვებისთვის დინამიკაში და განვითარების ტენდენციების განსაზღვრისათვის.

შიდა ხარისხის კვლევების/შეფასებებისთვის უნივერსიტეტი, მათ შორის, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვისაც იყენებს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს, რომელთათვისაც წინასწარაა შემუშავებული შესაბამისი ინსტრუმენტები.

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების გზით, რაც მიზნად სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული კვლევის შედეგებს პროგრამა და კონკრეტული სამსახური იყენებს საკუთარი საქმიანობისა თუ მისი კონკრეტული მხარეების დახვეწა-გაუმჯობესებისათვის.

ამასთან, ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ მოწმდება ლექტორ-მასწავლებელთა საქმიანობა, სასწავლო პროცესის წარმართვა, სილაბუსი, სილაბუსით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულება პრაქტიკაში და ა.შ. თუმცა არის რამდენიმე საგანი, რომლის სილაბუსით არაა აქტივობები გათვალისწინებული, ზოგიერთგან არც ასახსნელი მასალაა განსაზღვრული. მოცემულ პირობებში არაა კონკრეტული ხედვა იმაზე, როგორ

შემოწმდება ის, თუ ასეთი სილაბუსების ავტორები რამდენად მიუყვებიან სილაბუსს და სრულდება ყველა აქტივობა, იხსნება ლექციები თანმიმდევრულად, როგორია ლექტორის მუშაობის მეთოდოლოგია. მსგავს შემთხვევაში აღინიშნა, რომ ამოსავალია, სტუდენტი მოიწონებს თუ არა საგანს. არადა, თუ ლექტორი მოწმდება მაშინ, როცა მისი სილაბუსი სრულად არის შევსებული და ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი ასახულია მასში, არანაკლებ საყურადღებოა თანაბარპირობებიანი შემოწმების მექანიზმის არსებობა იმ ლექტორის მიმართაც, რომლის სილაბუსი არასრულადაა შევსებული და, შესაბამისად, მაგისტრანტებისთვის მეტად ინფორმაციული უნდა იყოს. ეს კიდევ უფრო არსებითია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უნდა შეფასდეს, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესი, მეორე მხრივ კი, ლექტორი და სასწავლო კურსი.

ხარისხის სამსახური მუშობს სილაბუსების საერთო სტანდარტის დამკვიდრებაზე. თუმცა, სილაბუსების ნაწილი საჭიროებს უფრო მკაფიო გაწერას, რაშიც იგულისხმება მოსამზადებელი ლიტერატურის მოცულობის კონკრეტიზაცია, შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი კურსები - „ეგალიტარული საზოგადოებები," „ეროვნული რელიგიები" სეკულარიზმის ეპოქაში (ENG), რელიგიისა და პოლიტიკის გადაკვეთა „მდგრადი განვითარების" ეპოქაში (ENG), Oral History as a Research Method in History and Political Sciences და ა.შ. (იხ. დაწვრილებით 2.3)

დამსაქმებლებთან მემორანდუმები **არის ზოგადი და არ შეიცავს სტაჟირების დეტალებს. ინტერვიუს დროსაც დამსაქმებლების მსჯელობა** სტაჟირებასა თუ პრაქტიკის გავლაზე იყო ზოგადი, მემორანდუმებიდან ვერ ირკვევა, რამდენი მაგისტრანტის მიღების შესაძლებლობა აქვს ამა თუ იმ ორგანიზაციას და სტაჟირება რა ხანგრძლივობით ხორციელდება.
ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაცნობისას დინდება მათი სათანადო კონკრეტიკით (მაგისტრანტთა რაოდენობისა და სტაჟირების ვადის ჩათვლით) ჩამოყალიბებაზე მონიტორინგის საჭიროება.

- ✓ ამასთან, **ინტერვიუს დროსაც დამსაქმებლების მსჯელობა** სტაჟირებასა თუ პრაქტიკის გავლაზე იყო ძალიან ზოგადი, ერთ-ერთმა დამსაქმებელმა მიუთითა, რომ მაგისტრანტები ნაკლებად ჰყავს სტაჟირებაზე. ამდენად, ჩანს, რომ მნიშვნელოვანია კონკრეტულად მაგისტრანტებზე გათვლილი მემორანდუმების დადებისა და შემდეგ პრაქტიკაში მათ განხორციელებაზე მონიტორინგი. დამსაქმებლებისგან აღნიშნულთან დაკავშირებით გარკვეული პერიოდულობით უკუკავშირის მიღება, ინფორმაციის დამუშავება-ანალიზი და ამ კომპონენტზე მუდმივი მონიტორინგი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს დამსაქმებლების მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში, მეორე მხრივ, მიღებული შედეგების მიხედვით პროგრმის დახვეწა-გაუმჯობესებას მუდმივი დინამიკის კონტექსტში.

- ✓ დამსაქმებელთა მხრიდან რამდენიმეჯერ **აღინიშნა, რომ განსაკუთრებულ განსხვავებას ბაკალავრსა და მაგისტრს შორის ვერ ხედავენ,** მთავარია, ცოდნით იყვნენ აღჭურვილი. მხოლოდ რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვის შემდეგ ითქვა, რომ განსხვავება მათ შორის არის, მაგრამ ვერ გამოიკვეთა ის, თუ სად ხედავენ მაგისტრებს პრაქტიკაში, რითია მათი ცოდნისა და უნარების მოქმედების არეალი გამორჩეული, განსხვავებით ბაკალავრებისგან;

- ✓ თუ არჩევანი დადგა სოციოლოგიის მაგისტრებს შორის, რომლებთაგანაც ნაწილს დასრულებული **აქვს (ა) სოციოლოგიის ბაკალავრიატი და მეორე ნაწილს კი - (ბ) სხვა სფერო ბაკალავრიატი,** განსაკუთრებულ ყურადღებას არ მიაქცევენ იმას, თუ რომელი სფეროს ბაკალავრიატი აქვს დასრულებული. უფრო მეტიც,

დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ თუ სოციოლოგიის მაგისტრს არ ექნებოდა სოციოლოგიის ბაკალავრიატი დასრულებული და მოდიოდა სხვა სფეროდან, ეს მათთვის უფრო მომხიბვლელი იქნებოდა, რადგან ასეთი **ადამიანი ფართო და ზოგადი ცოდნით იქნებოდა აღჭურვილი.** არადა თუ ამას დავაკვირდებით, ეს უფრო ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს მიესადაგება. მიუხედავად ამის შემდეგ 1-2 კითხვით დაზუსტებისა, რათა მაგისტრსა და ბაკალავრს შორის განსხვავება და პრაქტიკაში ამისი მნიშვნელობა გამოეკვეთათ, აღინიშნა, რომ **ზოგადი და ფართო ცოდნის** მატარებელი მისაღები იქნებოდა მათთვის. აღსანიშნავია, რომ, „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ონლაინ-შეხვედრების, ონლაინ-სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) განიხილება ადამიანის პერსონალურ მონაცემებად. შესაბამისად, პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების შესახებ წესში. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის თაობაზე. მართალია, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს „სტრატეგიები დისტანციური სწავლების დროს გამოცდებზე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის პრევენციის-თვის“, მაგრამ, გარდა გამოცდებისა, სასწავლო პროცესი მოიცავს ლექციებს, სემინარებს და შეიძლება შეეხოს საკონსულტაციო შეხვედრებს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ამიტომ კარგი იქნება, უნივერსიტეტის მიერ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით რეკომენდაციებმა მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი; ○ პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ ელექტრონული სისტემა არგუსი: http://argus.iliauni.edu.ge; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ○ დამსაქმებელთა კვლევის შედეგები; ○ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, სილაბუსებში საკვანძო საკითხების შესახებ მეტი სიცხადე იყოს შეტანილი და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ასეთი სასწავლო კურსების პრაქტიკაში სათანადო შესრულებაზე მონიტორინგი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კარგი იქნება, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულმა ელექტრონული სწავლების კონცეფციამ და ადმინისტრირების წესმა ასახოს სასწავლო პროცესის თითოეული კომპონენტი (სრული ციკლი), პანდემიის ფარგლებში არსებული გამოწვევების სათანადოდ მართვისთვის ჩამოაყალიბოს შესაბამისი გზამკვლევები და

ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული რეკომენდაციები. ○ უნივერსიტეტმა მონიტორინგი გაუწიოს კონკრეტულად მაგისტრანტებისთვის დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმების (სტუდენტთა რაოდენობისა და სტაჟირების ვადის მითითებით) სათანადოდ ჩამოყალიბებასა და პრაქტიკაში განხორციელებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

თამარ ჩარკვიანი ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

კესო ესებუა - ხელმოწერა

მიხეილ ბიჭია - ხელმოწერა

ანა ჭირაქაძე - ხელმოწერა